პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

16 აგვისტო კვირა 1970 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 191 (14795)

სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის შესახვედრად

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის კოლექტივი წარმატებით იბრძვის სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებებისა და ხუთწლედის დავალებათა ვადამდე განაღდებისათვის. ელმავალმშენებლებმა შვიდი თვის დავალება გადაჭარბებით შეასრულეს. საიუბილეო შრომითს ვახტს წარმატებით ეწევა და შრომის სანიმუშო მაკალითს იძლევა ამწყობი საამქრო, რომელსაც ახალგაზრდა ინჟინერი ე. ელაშვილი ხელმძღვანელობს.

სურათზე (ზემოთ): საამქროს უფროსი ე. ელაშვილი (მესამე მარჯვნიდან), ელექტრომემონტაჟეთა ბრიგადის ბრიგადირი ო. კვინტარაძე (მარცხნიდან), ამწყობ ზეინკალთა ბრიგადის ხელმძღვანელი რ. ჩაჩუა, ზეინკალი-მეკვტომატე დ. ფირალიშვილი, ამწყობ ზეინკალთა ბრიგადის ბრიგადირი ი. ქაშბაძე და ელექტრომემონტაჟეთა ბრიგადის ბრიგადირი ვ. ბლოძინი.

თამარაშვილის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის წინაშე პასუხსაგები ამოცანა დგას: სავხეებით უზრუნველყოს მეცხოველეობა საკვებით. საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორები და საკვების დამამზადებელი ბრიგადის წევრები ძალღონეს არ იშურებენ, რომ წარმატებით გადაჭრან ეს ამოცანა.

უკვე დამზადებულია 800 ტონა ჩალა. თიბვამ მთის მდელოებზე გადაინაცვლა, აქ კი, საბჭოთა მეურნეობის მინდვრებზე, მექანიზატორები მზესუმზირას იღებენ ასილოსად. სურათზე (მარცხნივ): მზესუმზირას მექანიზებული აღება ხასილოსად.

ფოტო ხ. ბულაძისა და ლ. ბუსოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ათეისტური პროპაგანდა ქმედითი უნდა იყოს

ამაობრიობა უდიდესი მეცნიერული აღმოჩენების ეპოქაში ცხოვრობს. ადამიანის გონებას შუქი შეაქვს სამყაროს შეუცნობელ ლაბირინთებში. ყოველი ახალი დღე ახალი მასალებით ამდიდრებს, კიდევ უფრო ამკვიდრებს მატერიალური მსოფლმხედველობის ჭეშმარიტებასა და უტყუარობას.

და ასეთ დროს რა დასანანია, რომ ზოგიერთი ადამიანი რელიგიის მავნე გავლენის ქვეშ ექცევა. რა თქმა უნდა, ეს ერთეული შემთხვევებია. სსრ კავშირის კონსტიტუციით რელიგია გამიცხადებულია კერძო საქმედ და არავინ არც კრძალავს მას. მაგრამ კომუნისტებს, კომკავშირელებს უფლება არა აქვთ იდეურ ბრძოლას არ უცხადებდნენ რელიგიურ ჩვეულებს, რელიგიურ გადმონაშთებს, და მით უფრო მაშინ, როცა იგი რელიგიასთან ერთად ხელს უწყობს ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის ზრდას ერთეული ადამიანების შეხედულებაში.

კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება შეუძლებელია ისე, თუ აქტიურად არ ვებრძოლეთ რელიგიურ იდეოლოგიას, თუ აქტიურად არ გამოვიყენეთ მეცნიერულ-ათეისტური აღზრდა. ცხადია, იქ, სადაც ეს ავიწყდებათ, შემარიგებლურად, უდარდელად ჩაიდებიან რელიგიურ გადმონაშთებს, რელიგია ჯარყოფითს გავლენას ახდენს ხალხზე. პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან შეტევითი ბრძოლა აწარმოონ რელიგიურ შეხედულებათა წინააღმდეგ, რომელნიც გონებას უბნელებენ მოსახლეობის ნაწილს. უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა კონსტიტუციით გარანტირებული სინდისისა და სარწმუნოების თავისუფლება ამავე დროს ნიშნავს ანტირელიგიური პროპაგანდის თავისუფლებასაც.

მეცნიერულ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის სულისკვეთებით ადამიანთა აღზრდის პრაქტიკა მოწმობს, რომ ათეისტური მუშაობის ეფექტიანობა მით უფრო მაღალია იქ, სადაც უფრო ძლიერ ზემოქმედებას ვახდენთ ადამიანთა არა მარტო გონებაზე, არამედ გრძნობებზეც. ე. ი. სადაც უფრო მაღალია ანტირელიგიური პროპაგანდის იდეური დონე, მისი ემოციურობა, რაც უფრო უკეთესი შედეგი მოაქვს მას და ჩანს მისი ქმედითობა.

ათეისტური პროპაგანდა იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. ამიტომ პარტიული ორგანიზაციების მოვალეობას შეადგენს ადგილობრივი პირობების გათვალისწინება და ყოველი ღონისძიებით მეცნიერულ-ათეისტური აღზრდის სისტემის სრულყოფა. ამის მიზანი ის არის, რომ განხორციელდეს მუდმივი აქტიური ზემოქმედება მორწმუნეებზე და აღიკვეთოს რელიგიურ შეხედულებათა გავრცელება განსაკუთრებით მოზარდთა შორის.

საჭიროა რელიგიური იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში ავამაღლოთ მასების პოლიტიკური და შრომითი აქტივობა, მოსახლეობის კულტურული დონე, განუწყვეტლივ გავავრცელოთ მეცნიერული, მათ შორის ათეისტური ცოდნა. თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში და სხვა ქალაქებსა და რაიონებში ამ საშუალოს აკისრებენ საუკეთესო პროპაგანდისტულ ძალებს, ისინი თავიანთ პრაქტიკაში რელიგიურ დოგმათა გასაბათილებლად ფართოდ მიმართავენ უმდიდრეს მასალას მეცნიერების მიღწევების, ჩვენი ეკონომიკისა და კულტურის განვითარების შესახებ.

ათეისტური პროპაგანდის ქმედითობის უზრუნველსაყოფად საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს აღმშრდელობითი მუშაობის მიზანდასახულობას. ზოგჯერ მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის გავლენის გარეთ რჩებიან სწორედ ისინი, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება. მცხეთის, თიანეთის, წითელწყაროს რაიონებში ათეისტი პროპაგანდისტები ხშირად ისე მუშაობენ, რომ არა აქვთ ნათელი ორიენტაცია მოსახლეობის შემადგენლობაზე და არ ითვალისწინებენ რელიგიურ გამოვლინებათა თავისებურებებს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ათეისტურ აღზრდაში საჭიროა კონკრეტული, ინდივიდუალური მიდგომა და არა საყოველთაო „ჩაბმა“ ღონისძიებებში.

ანტირელიგიური პროპაგანდა მხოლოდ მაშინ აღწევს მიზანს, როცა იგი ტარდება სისტემატურად და თანმიმდევრულად. ზოგჯერ კი ჩვენი რესპუბლიკის ცალკეულ პარტიულ ორგანიზაციებში იგი ეწყობა რელიგიური დღესასწაულების მოახლოებისას, ხოლო შემდეგ კი წყვეტენ მას. კამპანიურობა ისეთ რთულ და ფაქიზ საქმეში, როგორიც არის აღზრდა, მეტად შეუწყნარებელია.

პრაქტიკას არაერთხელ დაუდასტურებია, რომ ეკლესიის მსახურნი და ხელტანტები ყოველთვის ცდილობენ თავიანთი ინტერესებისათვის გამოიყენონ ათეისტური მუშაობის ნაკლოვანებები. იქ, სადაც კლუბი, კულტურის სახლი პარტიული ორგანიზაციების დახმარებით ცოცხალ, შინაარსიან მუშაობას ეწევა, ე. წ. ღვთისმორწმუნენიც ცოტანი არიან და პირიქით.

ამას წინათ თბილისში გაიმართა რესპუბლიკური თათბირი იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე. შეეხნენ იდეოლოგიური მუშაობის ყველა უბანს. კერძოდ, აქ ლაპარაკი იყო აგრეთვე მეცნიერულ-ათეისტური ცოდნის როგორც ზეპირი, ისე ბეჭდვითი პროპაგანდის გაუმჯობესებაზე. ამოცანა ის არის, რომ ანტირელიგიური პროპაგანდის მასშტაბის გაფართოებისათვის ზრუნვა შევუხამოთ ლექციების, საუბრების, პრესაში გამოსვლების ხარისხის გაუმჯობესებას. ამიტომ იდეოლოგიური მუშაობის ამ უბანს საჭირო ყურადღება უნდა დავთმოს პრესის, რადიოს, ტელევიზიის და საზოგადოების „ცოდნის“ საქმიანობაში. ჩვენმა გამომცემლობებმა უნდა გამოსცენ პოპულარული ლიტერატურა ანტირელიგიურ თემებზე.

სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მოქნილ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული ათეისტური პროპაგანდის ქმედითობა. მათ ლექციო-მოსხენებებთან ერთად უნდა მოაწყონ კითხვა-პასუხის საღამოები, დისპუტები ყოფილ მორწმუნეთა მონაწილეობით, ფართო აუდიტორიის წინაშე გამოიყვანონ მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწენი, მოაწყონ თემატური გამოფენები, უფრო ხშირად უჩვენონ მეცნიერული პოპულარული ფილმები და სხვ.

ათეისტური პროპაგანდის ქმედითობა კი თავის მხრივ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მომზადებული ლექტორები და მომხსენებლები ატარებენ მას, რა კონკრეტულ დახმარებას იღებენ ისინი პარტიული ორგანიზაციებისაგან. პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები მოვალენი არიან სისტემატურად იზრუნონ ათეისტი ლექტორების თაობრიული მომზადების ასამაღლებლად, უზრუნველყონ ისინი კონკრეტული მასალებით, ლიტერატურით, მოაწყონ მათი თათბირ-სემინარები.

ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ შეკაიარაღოთ მასები მატერიალისტური მსოფლმხედველობით, აღვზარდოთ ისინი რელიგიური ცრურწმენისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით. ამ ამოცანის განხორციელება კი ნიშნავს იმას, რომ ავამაღლოთ მშრომელთა აქტივობა სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ხუთწლიანი გეგმის დავალებათა ვადაზე ადრე განხორციელების უზრუნველსაყოფად, შევიტანოთ ჩვენი წვლილი საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისა და სკკპ მორიგი XXIV ყრილობის ღირსეულად შესახვედრად.

დროს გაუსწრეს

ხაჩხერე. (საკ. კორ.). მაღალნაყოფიერად, მომჭირნეობით მუშაობს სარჩერის საყალთე ქვაშების მაღაროს კოლექტივი. იქ წარმატებით ასრულებენ პარტიის XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს, დიდად უსწრებენ დროს.

მაღაროს კოლექტივმა ხუთწლიანი გეგმა ყველა მაჩვენებლით გადაჭარბებით შეასრულა. დამოძებულია 21.321 ტონა ზედგამოთა საყალთე და ქვარცხის სალი. მოგებამ 363.200 მანეთი შეადგინა, საიდანაც 56.200 მანეთი ზედგამოთა.

მაღაროელები ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ წლიური დავალება შეასრულონ ერთი თვით ადრე, ხოლო 1971 წლის თებერვალ-თებერვლისა — 25 თებერვლისათვის. თავდადებულად შრომობენ კერძოდ ისა და ცალკეული კოლექტივები, რომელნიც რ. ქვეტლეი, ფ. თაბაგარი და ა. ბერძენი უძღვებიან.

ლირსშესანიშნავი თარიღის გამო

ჯილდო გადაეცა

ამიერკავკასიის მაგისტრალის თბილისის განყოფილების რკინიგზელებმა ვადამდე 8 დღით ადრე შეასრულეს სახალხო-სამეურნეო ტვირთის დიტვირთვისა და ადგილზე მიტანის გასული კვარტალის დავალება. თითოეული ვაგონის ბრუნვა დაჩქარებულია 11,4 პროცენტით ნორმასთან შედარებით. ხოლო ზედგამოთა მოგებამ 461 ათასი მანეთი შეადგინა. ამ წარმატებებისათვის განყოფილების კოლექტივმა 1970 წლის მეორე კვარტალის სრულად სოციალისტური შეჯიბრების მეიდგილის მიხედვით მოიპოვა სსრ კავშირის გზათა სამინისტროსა და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. მასვე მინდა ეფრეთვე ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსა და რკინიგზელთა პროფკავშირის სამაგალითო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ს. ორჯონიკიძის სახელობის ტექნიკუმისა და დასვენების ცენტრალური პარკის საზოგადოებრივ თვალში ვიმართოთ რკინიგზის თბილისის განყოფილების მუშებისა და მოსამსახურეების სახელმო ჯგრა. ამიერკავკასიის მაგისტრალის უფროსი გ. ქადაძიეს მხარეულად მიღოლოდ განყოფილების კოლექტივს მაღალი ჯილდოები და ამიერკავკასიის უფროსს ლ. ვარდოსანიძეს გადასცა სსრ კავშირის გზათა სამინისტროსა და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ამბ. ვარდოსანიძემ კოლექტივის სახელით მადლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას განყოფილების მუშაკთა შრომის მაღალი შეფასებისათვის და პირობა დადო, რომ ყველაფერ ქვეყნის რკინიგზელთა პირველ რიგებში იქნებიან.

ლაზოგილი მასალებით

შეხსენებლის № 2 ფაბრიკის (დირექტორი ს. თურმანიძე) კოლექტივი ენერგიულად იბრძვის საბჭოთა საქართველოს, საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებებისა და ხუთწლედის დავალებათა ვადამდე განაღდებისათვის. ელმავალმშენებლებმა შვიდი თვის დავალება გადაჭარბებით შეასრულეს. საიუბილეო შრომითს ვახტს წარმატებით ეწევა ეს შრომის სანიმუშო მაკალითს იძლევა ამწყობი საამქრო, რომელსაც ახალგაზრდა ინჟინერი ე. ელაშვილი ხელმძღვანელობს.

ხუთწლედი შესრულებულია

ზვარის მინერალური წყლის ჩამოსასხმელმა ქარხანამ ვადამდე გადაჭარბებით შეასრულა ხუთწლიანი გეგმა — გადაჭარბებული 19.820 ათასი ბოთლის ნაცვლად ჩამოსხმულია 19.992 ათასი ბოთლი „ზვარი“.

ხუთწლედის ვადამდე შესრულების საქმეში მაღალნაყოფიერი შრომით თავი გამოიჩინეს მრეცხავებმა გ. გოგოლაძემ, ნ. დალალიშვილმა, მეაპარატე ბ. თიანაშვილმა, ზეინკლმა ა. ჯაფარიძემ და სხვებმა.

ქარხნის კოლექტივმა სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავად გადაწყვიტა წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას 2 მილიონი ბოთლი „ზვარი“.

ჟ. აბაშიძე.

ორასი მილიონი

ბაგნიტოგორსკი, 15 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორესპონდენტები ვ. ვ. ნოვიკოვი, მ. პოზდნიაკოვი, მ. ჩერნილინი). დღეს ღილის 8 საათზე და 40 წუთზე მაგნიტოგორსკის მეტალურგიულმა კომბინატმა გამოუშვა მე-200-მილიონე ტონა ფოლადი. მეოთხე ღუმელზე სალეგირებლო ნადნობი ჩამოუშვა ახალგაზრდა მეფოლადის ანატოლი სავჩენკოს ბრიგადამ. ეს გამოდნობა დამით დაიწყო. სწორედ ჩატვირთეს 400-ტონიანი მარტენი. ზუსტად მუშაობდა ჩასაყრელი მანქანის მემანქანე ნ. ოხინჩენკო, რომელიც თითქმის ოცდათი წელია ცეცხლთან მუშაობს. მეფოლადე და მისი თანაშემწეები ბ. პოროტნიკოვი, ვ. ბერასიმენკო და ვ. იანბახტოვი აგრეთვე ვატარებენ მუშაობდნენ. მათს მუშაობას თვლის აღრეზბდნენ მაგნიტკის ვეტერანები, საამქროს მუშაკები, სტუმრები, რომლებიც ზეიმზე ჩამოვდნენ ჩვენი ქვეყნის ბევრი ქალაქიდან და საზღვარგარეთიდან.

და აი დადგა საზეიმო წუთი: ჩამოსასხმელი მილი გავარვარებულმა ლითონმა გაიანთა. საიუბილეო გამოდნობა დამთავრდა. არის მე-200-მილიონე ტონა მაგნიტოგორსკული ფოლადი!

საგნეტოგორსკის უფროსი კაბეშრის შაგი მეტალურგიის მინისტრს ი. ვ. კალნინესა და სკკპ ჩელიაბინსკის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს მ. გ. ვოროპაევს. მან თქვა:

— უკანასკნელი ნადნობი გამოშვებულია გრაფიკზე 2 საათითა და 20 წუთით ადრე. ჩვენ ვუძღვნით მაა პარტიის XXIV ყრილობას.

შემდეგ მეფოლადესა და მის თანაშემწეებს მეგობრები, ამხანაგები გადაეხვევნენ, პიონერებმა ყვავილები მიართვეს.

ჩეხოსლოვაკიის კ. გოტვალდის სახელობის მეტალურგიული კომბინატის პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარემ ენგენერმა მარიამ სტარკოვამ საიუბილეო ნადნობის ამირეს გადასცა მეფოლადე, რომელიც ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკა შეაჯილდოვებენ საუკეთესო მეფოლადეებს. მეტალურგებს გულთბილად მიეფლიცა კომბინატის ვეტერანმა — მ. გ. ბაგნიუკმა, რომელიც 37 წლის წინათ ხელმძღვანელობდა ფოლადის პირველ გამოდნობას მაგნიტკაში.

...მძლავრმა ამწეებმა ასწიეს თხევადი ლითონის ცოცხები და წაიღეს ჩამოსასხმელი მოედნებისაკენ. მაგნიტკამ დაიწყო თავისი ცნობილი ფოლადის მესამე ასეული მილიონი ტონის თვლა.

უკანასკნელ საათს

თანამშრომლობა მტკიცდება

ბერლინი, 15 აგვისტო. (საკდესი). მოსკოვში ხელმოწერილი თქმი სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 1971-1975 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაციის შესახებ ორი ქვეყნის კავშირის განუწყვეტელი განმტკიცებისა და გაღრმავების დიდმნიშვნელოვანი დადასტურებაა, ჯანაცადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გერჰარდ შიურერმა გაზეთ „ნოი

მშრომელთა დროის დაზოგვისათვის

საბჭოთა კოოპერატორების VIII ყრილობა

18 აგვისტოს მუშაობა დამთავრა სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა VIII ყრილობამ.

ყრილობის დელეგატებმა განიხილეს დიდმნიშვნელოვანი საკითხები, რომლებთანაც მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია ქალაქსა და სოფელს შორის ეკონომიური ურთიერთობის შემდგომი განმტკიცება, ყოფაცხოვრებისა და კულტურის გაუმჯობესება სოფლად.

როგორც ყრილობის დამდგენლებმა აღნიშნეს, კოოპერატორთა უპირველესი ამოცანაა ბრძოლა სახალხო მოხმარების საქონელზე მოთხოვნილების ყოფრა სრულად დაკმაყოფილებისათვის, სოფლის მშრომელთა დროის დაზოგვისათვის.

ყრილობამ დაადასტურა კოოპერატორთა და სამომხმარებლო საზოგადოებათა გამჯანსაღების განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სოფლად საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესებას.

ბევრი რამ უნდა გაკეთდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადებისა და შესყიდვის გადადებისათვის. ყრილობამ ერთხმად მოიწონა ლენინისძიებანი, რომლებიც ამ დარგში შეიმუშავეს პარტიამ და მთავრობამ.

სამომხმარებლო კოოპერაციას განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს ამოცანები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმმა დასახა იმ საქმეში, რომ მომავალი ხუთწლედის დამლევისათვის ერთხელვარეარ-ორჯერ გაიზარდოს კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილისა და კენკრის სახელმწიფო შესყიდვა.

ყრილობამ ურჩია სამომხმარებლო კოოპერაციას გაიფართოოს სავაჭრო ურთიერთობა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი სოციალისტური ქვეყნების, აგრეთვე აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ქვეყნების კოოპერაციულ ორგანიზაციებთან.

ყრილობის დელეგატებმა აირჩიეს ცენტროსოიუზის საბჭო, გამგეობა და სარევიზიო კომისია. ცენტროსოიუზის გამგეობის თავმჯდომარედ ხელახლა არჩეულია ა. ა. კლიმოვი, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ — ლ. ბ. ომელჩენკო.

ყრილობამ მიიღო მიმართვა იმასთან დაკავშირებით, რომ აფრიკის შეერთებული შტატები ყველავ აფართოებენ აგრესიულ მოქმედებას ინდოჩინეთის ქვეყნების წინააღმდეგ.

ყრილობის დელეგატებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან. (საკ.ფსი).

შეთანხმებას ხელი მოაწერეს

18 აგვისტოს მოსკოვში სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების გეგმების კოორდინაციის ოქმს ხელმოწერასთან ერთად ხელი მოაწერეს სამთავრობათაშორისო შეთანხმებას ორი ქვეყნის ჩართმშრენებლობის დიდმნიშვნელოვან დარგებში მეცნიერული კვლევისა და წარმოების კოოპერირების შესახებ. შეთანხმება ითვალისწინებს სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სამინისტროთა და სამეცნიერო-საკვლევ ორგანიზაციათა თანამშრომლობას უმაღლესი ტექნიკური და მეცნიერული შედეგების მისაღწევად, აგრეთვე ურთიერთშიწოდების გასაფართოებლად.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საკვლევო კომისიის თავმჯდომარემ **გ. შიურერმა** და სსრ კავშირის ჩართსამშენებლო და საინსტრუმენტო მრეწველობის მინისტრმა **ა. ი. კოსტოუსოვმა.**

(საკდესი).

პოლიგრაფისტებისა და კინოფიკატორების დაჯილდოება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თათვარი პოლიგრაფიული მრეწველობის სამმართველოს საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებმაც ფარფოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ინიშნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს წიგნისა და გაზეთის პროდუქციის წარმოებაში.

მეორე კვარტალის მუშაობის შედეგებით განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქუთაისის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის № 5 სტამბის, სოხუმის № 7 სტამბის, თბილისის ოფსეტური ბეჭდვის ფაბრიკის, თბილისის № 17 სტამბის, ბორჯომისა და ზუგდიდის სტამბების, თბილისის № 12 სტამბის კოლექტივებმა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიამ და საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა დამტკიცეს რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებული მეორე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით და მიანიჭეს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია **ქუთაისის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის № 5 სტამბის კოლექტივს.**

სოხუმის № 7 სტამბის კოლექტივმა მოიპოვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტისა და საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიამ და საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა შეაჯამეს კინოფიკაციის საწარმოთა და ორგანიზაციათა რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების მეორე კვარტალის შედეგები და აღნიშნეს, რომ კინომომსახურების გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში შესრულდა 100,9 პროცენტით.

სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქალაქ რუსთავის კინოფიკაციის დირექციის, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კინოფიკაციის სამმართველოს, თბილისის კინოთეატრების „კომკავშირელის“, „კოლქიურნისა“ და „ოქტომბრის“, ქალაქ ზუგდიდის და ხელოს რაიონის კინოფიკაციისა და დირექციების კოლექტივებმა.

რესპუბლიკური შეჯიბრების გამარჯვებულად ცნეს **რუსთავის კინოფიკაციის დირექციის კოლექტივი,** რომელსაც მიენიჭა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტისა და საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები და პირველი ფულადი პრემიები დაიმსახურეს **თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კინოფიკაციის სამმართველოსა** და თბილისის **კინოთეატრ „კომკავშირელის“ კოლექტივებმა.**

(საქ.ფსი).

მსოფლიო დღეს

დაძაბულობის შენელებისათვის

ბერლინი, 14 აგვისტო. (საკდესი). დღეს აქ გამოქვეყნდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო მიესალმება სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობათა წარმატებულ მოლაპარაკებას და ორი ქვეყნის ხელშეკრულებას, რომელსაც 12 აგვისტოს მოაწერეს ხელი მოსკოვში.

ეს ხელშეკრულება, აღნიშნულია განცხადებაში, სახავს ევროპის უშიშროების განმტკიცებისა და მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის შესაძლებლობას.

საბჭთა კავშირის ინიციატივის, სოციალისტური თანამეგობრობის ერთობლივი მტკიცე მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის მეოხებით დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიზანია დაძაბულობის შენელება და მშვიდობის უზრუნველყოფა ევროპაში და რომელიც ხელს უწყობს ნორმალური, მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარებას ევროპის ყველა სახელმწიფოს შორის.

სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულების არსი ის არის, ნათქვამია განცხადებაში, რომ ცნონ მეორე მსოფლიო ომის შედეგად ევროპაში შექმნილი ტერიტორიული სტატუს-კვო. დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ხელშეკრულება ამყარებს ევროპის სახზღვრების ურღვეობას და, კერძოდ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზღვრის ურღვეობას, აგრეთვე ოდერ-ნოისის ხაზს, რომელიც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დასავლეთის საზღვარია. ამ ხელშეკრულებით გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ იკისრა საერთაშორისო-სამართლებრივი ძალის მქონე ვალდებულებანი, რომ განუხრელად დაიცავს ევროპის ყველა სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას მათს ახლანდელ საზღვრებში და არც ახლა, არც მომავალში არ წამოაყენებს ტერიტორიულ პრეტენზიებს.

ეს ხელშეკრულება, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, რეალისტურია, რადგან ითვალისწინებს ევროპის ნამდვილ ვითარებას, რეალურად შექმნილი მდგომარეობის გარდუვალობას. იგი დროულია, რადგან ჩახმი მოეკვა მეორე მსოფლიო ომის შედეგების რვეულისადმი აბსურდული მისწრაფების ძველი პოლიტიკა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განცხადება

სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულება, აცხადებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო, შეესაბამება საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის იმ საერთო მისწრაფებას, რომ მოისპოს კონფლიქტების კერები და შეიქმნას ნდობისა და მშვიდობიანი საერთაშორისო თანამშრომლობის ატმოსფერო.

სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულება საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით საყურადღებოდ ფორმად ამკვიდრებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოთა საზღვრის შეუვალობას და აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის გარანტირებულად დაცვას. ამრიგად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის ნორმალიზაცია თანასწორუფლებიან საფუძველზე, რეალურად შესაძლებელი ამოცანაა.

განცხადებაში შემდეგ აღნიშნულია, რომ საჭიროა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის ნორმალიზაცია სხვა სახელმწიფოებთან და, კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ინგლისთან, საფრანგეთთან, საჭიროა მიიღონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

განცხადებაში ნათქვამია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ყველაფერს იღონებს ევროპის ყველა სახელმწიფოს ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის, აგრეთვე დაამყარებს თანასწორუფლებიან ურთიერთობას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად.

„სიმბოლური მისია“

ვაშინგტონი, 15 აგვისტო. (საკდესი). **ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რ. ნიქსონი გუშინ ხანმოკლე ვიზიტად ჩავიდა ახალ ორლეანში (ლუიზიანის შტატი), რათა განიხილოს ქვეყნის სამხრეთ შტატებში სკოლების დესეგრეგაციის პრობლემები.**

ამასთან დაკავშირებით პრესა აღნიშნავს პრეზიდენტის განცხადებას მის უკანასკნელ პრესკონფერენციაზე ლოს-ანჯელესში, სადაც მან აქვალად დაუთმო სამხრეთის შტატების ხელისუფალთ, როცა განაცხადა, ჩემი მთავრობის პოლიტიკა თქვენთან „თანამშრომლობაა“ დაეკრდნობა და მთავრობის წარმომადგენლებს არ გაგზავნიო სამხრეთში სკოლების დესეგრეგაციის გადაწყვეტილების შესასრულებლადო.

ადგილობრივი მიმომხილველნი აღნიშნავენ, რომ პრეზიდენტის ეს მისია მიზნად ისახავს „ორეულ გეგმებს მისი ეგრეთ წოდებული „სამხრეთ სტრატეგიის“ ფარგლებში, რომლის დანახარებითაც მმართველი რესპუბლიკური პარტია ცდილობს შეიპიროს სამხრეთის მხარდაჭერა „შუალედურ არჩევნებში“, რომელიც წელს ნოემბერში გაიმართება, და 1972 წლის პრეზიდენტის არჩევნებში.

გუამის დოქტრინა მოქმედებს

ვაშინგტონი, 15 აგვისტო. (საკდესი). შეერთებული შტატები გაძლიერებით ცდილობს „მოკავშირეთა“ სამუალებით განახორციელოს აგრესიული პოლიტიკის გეგმა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მაკლოსკიმ აღიარა, რომ არსებობს შეთანხმება ვაშინგტონსა და ტაილანდის მთავრობას შორის დახმარების შესახებ, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები გაუწევენ 5 ათას ტაილანდელ „მოხალისეს“. ეს „მოხალისენი“ აგვისტოს დამლევს გაეგზავნებიან კამბოჯაში ამ ქვეყნის პატრიოტული ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად.

„ბაზეული მხარდაჭერის ხასიათი და დონე, — განაგრძო მან, — კერძოდ დამოკიდებული იქნება ტაილანდისა და კამბოჯის მთავრობათა შეთანხმების პირობებზე“.

ამასთან დაკავშირებით გაშინგტონის პოლიტიკური მიმომხილველნი აღნიშნავენ ტაილანდის პრემიერის კიტიკაჩორნის განცხადებას, რომელმაც ორი დღის წინათ პირდაპირ თქვა, რომ შეერთებული შტატები დაგეგეგმარებიანო კამბოჯაში გასაგზავნი ტაილანდის ჯარების დაფინანსებაზე.

ერთიანი, დემოკრატიული

ყარაჩი, 14 აგვისტო. (საკდესი). დღეს პაკისტანელი ხალხი აღნიშნავს ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების 23 წლისთავს. პრეზიდენტმა იაჰია ხანმა თავის მიმართვაში მოუწოდა ხალხს მტკიცედ იაროს დასახული მიზნისაკენ — „შექმნას ერთიანი, დემოკრატიული, პროგრესული და აყვავებული პაკისტანი“.

დამოუკიდებლობის დღის გამო პაკისტანის ყველა ქალაქში იმართება საზოგადოებრივობის კრებები და საზეიმო დემონსტრაციები, გაზეთები ბეჭდავენ დღესასწაულისადმი მიძღვნილ სტატიებსა და მასალებს.

აღმოსავლეთ პაკისტანში მომხდარი წყალდიდობის გამო პრეზიდენტმა გასცა განკარგულება არ მოაწყონ სადღესასწაულო ილუმინაცია და დაზოგილი ხახრები გამოიყენონ დაზარალებულთათვის დახმარების გასაწევად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაქტები

ინგლისის პროფკავშირთა მოთხოვნა

● **ლონდონი,** 15 აგვისტო. (საკდესი). ინგლისის პროფკავშირები დაბეჭითებით მოითხოვენ შეწყდეს ქალის შრომის დისკრიმინაცია და მიენიჭოთ ქალებს მამაკაცთა თანაბარი ხელფასი. ახალი რეზოლუცია მიიღო, კერძოდ, გემთმშენებელთა და მანქანათმშენებელთა პროფკავშირების კონფედერაციის აღმასკომმა. ამ დარგების საწარმოებში დასაქმებულია 750 ათასამდე ქალი.

ამჟამად ინგლისში 8 მილიონამდე მომუშავე ქალია — ბრიტანეთის კუნძულების მთელი მუშაკების მესამედი. აქედან მარტო ათი პროცენტი ღებულობს, პრესის მონაცემებით, მამაკაცთა თანაბარ ხელფასს.

ბრძოლა გრძელდება

● **ლონდონი,** 14 აგვისტო. (საკდესი). ოლსტერის იუნიონისტურმა მთავრობამ უარყო ინგლისის უდიდესი პროფკავშირების ლიდერთა და პარლამენტის წევრის ბ. ლეტემის მოთხოვნა, რომ საპყრობილეებიდან გაეთავისუფლებინა ჩრდილოეთ ირლანდიის პოპულარული პოლიტიკური მოღვაწე, პარლამენტის წევრი ბერნადეტა დევლინი. ამას იუწყება დღეს გაზეთი „მორნინგ სტარი“.

მამაცი ირლანდიელი პატრიოტის, აგრეთვე საპყრობილეებში დამწყვდეული. მოქალაქეობრივი უფლებებისათვის სხვა მებრძოლთა განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ებმებიან ინგლისელ მშრომელთა ახალი რაზმები. ეს მოთხოვნა წამოაყენეს გუშინ ჩრდილოეთ ლონდონის რკინიგზელებმა.

დიალო-ტელის განცხადება

● **ლაგოსი,** 14 აგვისტო. (საკდესი). თუ ინგლისი არ შეცვლის თავის გადაწყვეტილებას და მიაწვდის ეარალს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას, შედეგები მისთვის უარესად დამლუბველი იქნება. ეს განაცხადა აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა დიალო ტელემ ლაგოსის აეროპორტში.

პარტიზანები მოქმედებენ

● **დამასკო,** 15 აგვისტო. (საკდესი). ისრაელის მიერ ოკუპირებულ სირიის გოლანის მაღლობებზე ხაომარი მოქმედება გააქტიურეს „ახ-საიკის“ ორგანიზაციის პარტიზანებმა.

„ახ-საიკის“ აქ გავრცელებული ცნობის თანახმად, ამ ორგანიზაციის რამდენიმე საბრძოლო ჯგუფმა 11 აგვისტოს ცეცხლი დაუშინა ისრაელთა საყრდენ პუნქტს ტელ რაჯმის რაიონში, პატრულს-ჯიბინის რაიონში და არ-რაფიდის გასამხედროებულ დასახლებას. პარტიზანების მიერ დანაღმულ გზაზე აინ ალშეს მახლობლად 12 აგვისტოს აფეთქდა ისრაელის სამხედრო ავტომანქანა ჯარისკაცებითურთ.

უნგრული ტელევიზორები

● **ბუდაპეშტი,** 15 აგვისტო. (საკდესი). 350 ათასზე მეტ ტელევიზორს გამოუშვებს წელს უნგრეთის მრეწველობა, გვატყობინებს უნგრეთის დეპეშათა სააგენტო. პროდუქციის თითქმის 40 პროცენტი გათვალისწინებულია საექსპორტოდ. „გაკეთებულია უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში“ — ამ მარკის ტელევიზორებზე დიდი მოთხოვნაა მსოფლიოს 35 ქვეყანაში.

გრიგალი მექსიკაში

● **ლონდონი,** 15 აგვისტო. (საკდესი). მექსიკის ქალაქ გუანახუატოს თავს დაატყდა ძლიერი გრიგალი, რომელსაც თან ახლდა კოკისპირული წვიმა. 40 წუთში სტიქიამ ბევრი უბედურება დაატეხა. ზოგიერთ რაიონში მოხდა წყალდიდობა, არის მსხვერპლი.

ტერორი ბრაზილიაში

ამ დღეებში იურისტთა ხალთაშორისო კომისიამ უნივერსიტეტში გამოაქვეყნა ნაშრომი ადამიანის დაუშინებლობის საფუძველზე შედგენილი მოხსენება. მოხსენებიდან ირკვევა, რომ ამერიკელი ექსპერტები უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებენ ოპოზიციის ჩახშობაში, რომელიც გამოდის ბრაზილიაში დამყარებული სამხედრო დიქტატურის რეჟიმის წინააღმდეგ. ეს რეჟიმი თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს უსაშინელეს წამებას აყენებს. მოხსენებაში მოყვანილია არაადამიანური წამების ფაქტები. ერთ მუშას საპყრობილეში კაპიტანი პიკატო ბარძაყიდან ხორცს აგლეჯდა მაშით. მეორე დაპატიმრებულ სტუდენტს სამხედრო პოლიციელ დამბულს დაათრევდა საპყრობილის ეზოში და აიძულებდა ძაღლივით ეყეფნა. შემდეგ ჭალათებმა სტუდენტი პოლიციელთა ძაღლის სამწყვდევთან მიაყვანეს და აიძულეს თეფშიდან ეჭამა ძაღლის სალაფავი. მოხსენებაში მოყვანილია სხვა შემთხვევებიც. ცნობილი მხახიობი ქალი ჭალათებმა კოლექტიურად გააუბატიურეს პატიმართა თვალწინ. რიბეირო პრეტოს საპყრობილეში დამწყვდეულ გლეხს აუტანელ წამებას აყენებდნენ გაშიშვლებული ელექტროსადენის საშუალებით. ხელებზე ფრჩხილები დაგლიჯეს, ნეკნები ჩაუმტვრიეს, თვალის ქუთუთოები ამოგლიჯეს.

ჭალათები სამი თვის განმავლობაში აწამებდნენ ახალგაზრდა არტურ ნევესსა და მის ცოლს. ამის შედეგად ქმარი პარალიზებულია, ცოლი კი ჭკუაზე შეიშალა. თერმეტი ბრაზილიელი ოფიცერი პირველი არმიის სარდლის გენერალ სისენო ხარმიენტოს მეთაურობით პირადად აწამებდა ეურნალისტ მარიო ალვესს. შემდეგ იგი ჩაადეს საკანში, სადაც ხანგრძლივი მტანჯველი აგონიის შემდეგ გარდაიცვალა. სტუდენტი ზ. ოსანი აიძულეს მანამდე ეჭამა მარილი, სანამ სისხლი არ ამოალებინა. ბევრ დაპატიმრებულს შარდთა და სიბინძურით სავსე აბანოებში აგდებენ.

ბარბაროსულად აწამებენ მცირეწლოვან ბავშვებსაც კი. გაზეთ „ლუმანიტე-დიმანშის“ კორესპონდენტი ე. ფუენსალი ამ დღეებში წერდა, რომ პატიმარ ქალს ადამარის დე ლუსენს ესმოდა ყვირილი თავისი ცხრა წლის ვაჟიშვილისა, რომელსაც ჭალათები მეზობელ ხაკანში აწამებდნენ.

მოხსენებაში ნათქვამია, რომ ამჟამად ბრაზილიის დილეგებში 12 ათასი კაცი იტანჯება. მათგან ათას კაცზე მეტი ყოველდღიურად განიცდის ზემოთ მოყვანილის მსგავს საშინელ წამებას. მოხსენების შემდგენნი წერენ, რომ გუანაბარას შტატის საკონცენტრაციო ბანაკში „ბრაზილიელ ოფიცრებს წამების ტექნიკა ამერიკელმა ექსპერტებმა შეასწავლეს“.

მიუხედავად ტერორისა, ბრაზილიის მშრომელნი განაგრძობენ „გორილების“ რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას. ამ ბრძოლის ავანგარდში კომუნისტები დგანან.

* * *

სშარაშუ: ბრაზილიელი ჭალათების მიერ წამებით დახოცილი პატრიოტები.

ფოტო ბრაზილიის ინფორმაციის შრომტისა.

ინდირა განდის გამოსვლა

დელი, 14 აგვისტო. (საკდესი). „ინდოეთის მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ზუსტად დასახულ ვადებში განახორციელოს ქვეყანაში ეფექტიანი მიწის რეფორმა“ — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ ეროვნული ეკონომიკის განვითარების მეოთხე ხუთწლიანი გეგმის გამო პარლამენტში გამართული კამათის დროს.

ინდირა განდიმ ინდოეთის შტატების მთავრობებს მოუწოდა დაუყოვნებლივ დაიჭარონ სოფლად რადიკალურ აგრარულ გარდაქმნათა პროგრამა, რათა უზრუნველყონ სოციალური სამართლიანობა და ინდოელი გლეხების მრავალმილიონიანი მასების პროგრესი.

პრემიერ-მინისტრმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, რომ საქართველო სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობა ეკონომიური სტაბილობის მიღწევის და ეროვნული ეკონომიკის განუწყვეტელი ზრდისათვის.

ინდირა განდიმ შემდეგ იმედი გამოთქვა, რომ ინდოეთი მეოთხე ხუთწლიანი გეგმის პერიოდში მიაღწევს ეკონომიური ზრდის დადგენილ ტემპს (ხუთი პროცენტი წელიწადში) და ყოველწლიურად შეიტან პროცენტით გაადიდებს სამრეწველო წარმოებას. მან აღნიშნა აგრეთვე, რომ სურსათის წარმოებამ დამოუკიდებელი ინდოეთის ისტორიაში პირველად მიაღწია რეკორდულ დონეს, — ას მილიონ ტონას.

როგორც ინდირა განდიმ აღნიშნა, სამრეწველო ლიცენზირების ახალი პოლიტიკა მიზნად ისახავს მსხვილ მონოპოლიათა საქმიანობის სფეროს შეზღუდვას და „სახელმწიფო სექტორისათვის წამყვანი მდგომარეობის“ უზრუნველყოფას ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკაში, აგრეთვე ინდოელი ხალხის სოციალურ პროგრესს.

ინდირა განდიმ მოუწოდა ხალხის მასებს დაირაზმონ და მხარი დაუჭირონ რადიკალურ სოციალურ-ეკონომიურ რეფორმათა პროგრამას, რომელიც ინდოეთის მთავრობამ წამოაყენა.

ერთიანი, დემოკრატიული

ყარაჩი, 14 აგვისტო. (საკდესი). დღეს პაკისტანელი ხალხი აღნიშნავს ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების 23 წლისთავს. პრეზიდენტმა იაჰია ხანმა თავის მიმართვაში მოუწოდა ხალხს მტკიცედ იაროს დასახული მიზნისაკენ — „შექმნას ერთიანი, დემოკრატიული, პროგრესული და აყვავებული პაკისტანი“.

დამოუკიდებლობის დღის გამო პაკისტანის ყველა ქალაქში იმართება საზოგადოებრივობის კრებები და საზეიმო დემონსტრაციები, გაზეთები ბეჭდავენ დღესასწაულისადმი მიძღვნილ სტატიებსა და მასალებს.

აღმოსავლეთ პაკისტანში მომხდარი წყალდიდობის გამო პრეზიდენტმა გასცა განკარგულება არ მოაწყონ სადღესასწაულო ილუმინაცია და დაზოგილი ხახრები გამოიყენონ დაზარალებულთათვის დახმარების გასაწევად.

წყალდიდობა აღმოსავლეთ პაკისტანში

ყარაჩი, 14 აგვისტო. (საკდესი). კოკისპირულმა წვიმებმა და ადიდებულმა მდინარეებმა გამოიწვიეს წყალდიდობა, რომელმაც ნამდვილი სტიქიური უბედურების ხასიათი მიიღო. დაზარალდა აღმოსავლეთ პაკისტანის დიდი ფართობები.

პაკისტანის საინფორმაციო სააგენტოს მიერ გავრცელებული ცნობების თანახმად, სამ კვირაში დატბორილია 15 ათასზე მეტი კვადრატული მილი ფართობი, დაზარალდა 10 მილიონზე მეტი კაცი. არის დიდი მსხვერპლი. მოლიანად განადგურდა 100 ათასზე მეტი სახლი და ნაგებობა, 556 ათასი სახლი სერიოზულად დაზიანდა.

წინასწარი მოსაზრებით, როგორც პაკისტანის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, წყალდიდობის ზარალი ერთ მილიარდ რუპიას შეადგენს.

გაზეთების ცნობით, ახლანდელი წყალდიდობა ყველაზე ძლიერი და დამანგრეველი იყო უკანასკნელი 15 წლის მანძილზე. წყალდიდობამ დიდი ზარალი მიაყენა აღმოსავლეთ პაკისტანის დედაქალაქს, სადაც დაინგრა და დაზიანდა რამდენიმე ათეული ათასი საცხოვრებელი სახლი.

რანგუნი, 15 აგვისტო. (საკდესი). აღმოსავლეთ პაკისტანიდან მიღებული ცნობების თანახმად, სულ უფრო მეტად ირკვევა უბედურების მასშტაბი, რომელიც ამ პროვინციას მიაყენა ადიდებულმა განგამ და სხვა მდინარეებმა. პრესის ცნობით, წყალდიდობა იყო აღმოსავლეთ პაკისტანის 19 რაიონიდან 14 რაიონში. განადგურდა ყანებიდან გაეტანელი 8 მილიონი ტონა ბრინჯი. ოთხ მილიონზე მეტი კაცი ულუკმაპუროდ დარჩა. შეიქმნა აუცილებელი საჭიროება, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სურსათით დამატებითი წყაროებიდან. მთავრობამ უკვე გამოყო 55 მილიონი რუბლი დაზარალებული რაიონებისათვის მარცვლეულის შესასყიდად.

ტერორი ბრაზილიაში

ამ დღეებში იურისტთა ხალთაშორისო კომისიამ უნივერსიტეტში გამოაქვეყნა ნაშრომი ადამიანის დაუშინებლობის საფუძველზე შედგენილი მოხსენება. მოხსენებიდან ირკვევა, რომ ამერიკელი ექსპერტები უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებენ ოპოზიციის ჩახშობაში, რომელიც გამოდის ბრაზილიაში დამყარებული სამხედრო დიქტატურის რეჟიმის წინააღმდეგ. ეს რეჟიმი თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს უსაშინელეს წამებას აყენებს. მოხსენებაში მოყვანილია არაადამიანური წამების ფაქტები. ერთ მუშას საპყრობილეში კაპიტანი პიკატო ბარძაყიდან ხორცს აგლეჯდა მაშით. მეორე დაპატიმრებულ სტუდენტს სამხედრო პოლიციელ დამბულს დაათრევდა საპყრობილის ეზოში და აიძულებდა ძაღლივით ეყეფნა. შემდეგ ჭალათებმა სტუდენტი პოლიციელთა ძაღლის სამწყვდევთან მიაყვანეს და აიძულეს თეფშიდან ეჭამა ძაღლის სალაფავი. მოხსენებაში მოყვანილია სხვა შემთხვევებიც. ცნობილი მხახიობი ქალი ჭალათებმა კოლექტიურად გააუბატიურეს პატიმართა თვალწინ. რიბეირო პრეტოს საპყრობილეში დამწყვდეულ გლეხს აუტანელ წამებას აყენებდნენ გაშიშვლებული ელექტროსადენის საშუალებით. ხელებზე ფრჩხილები დაგლიჯეს, ნეკნები ჩაუმტვრიეს, თვალის ქუთუთოები ამოგლიჯეს.

ჭალათები სამი თვის განმავლობაში აწამებდნენ ახალგაზრდა არტურ ნევესსა და მის ცოლს. ამის შედეგად ქმარი პარალიზებულია, ცოლი კი ჭკუაზე შეიშალა. თერმეტი ბრაზილიელი ოფიცერი პირველი არმიის სარდლის გენერალ სისენო ხარმიენტოს მეთაურობით პირადად აწამებდა ეურნალისტ მარიო ალვესს. შემდეგ იგი ჩაადეს საკანში, სადაც ხანგრძლივი მტანჯველი აგონიის შემდეგ გარდაიცვალა. სტუდენტი ზ. ოსანი აიძულეს მანამდე ეჭამა მარილი, სანამ სისხლი არ ამოალებინა. ბევრ დაპატიმრებულს შარდთა და სიბინძურით სავსე აბანოებში აგდებენ.

ბარბაროსულად აწამებენ მცირეწლოვან ბავშვებსაც კი. გაზეთ „ლუმანიტე-დიმანშის“ კორესპონდენტი ე. ფუენსალი ამ დღეებში წერდა, რომ პატიმარ ქალს ადამარის დე ლუსენს ესმოდა ყვირილი თავისი ცხრა

საკდესის მიმოხილვა

სიკვდილთან თამაში

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო უწყება — პენტაგონი უკვე დიდი ხანია საშიში ავნებტიურიზმისა და მომაკვდინებელი საფრთხის სიმბოლო გახდა მსოფლიოს ხალხებისათვის. ამის ავბედითი შესესენებაა ამერიკის სამხედრო ხელისუფალთა გადაწყვეტილება ატლანტის ოკეანის წყლებში ჩაძიროს ნერვულ-პარალიზური მოქმედების მომაკვდინებელი გაზით — სარინით დატენილი 12.540 რეაქტიული ჭურვი. ამ „ნერვულ გაზს“ ახასიათებს უდიდესი ტოქსიკურობა: საკმარისია ადამიანის ფილტვებში მოხვდეს ერთი გრამი გაზის მესამიათასედი, რომ 5-10 წუთში გამოიწვიოს სიკვდილი.

პენტაგონმა გადაწყვიტა თავიდან მოეშორებინა ეს მეტად საშიში ინარი ინტიმურ „ინარა“, რომ მეერთებულმა შტატებმა უარი თქვა ქიმიური იარაღის წარმოებასა და გამოყენებაზე. არა, ამერიკის შეერთებული შტატები დღემდე ერთადერთი დიდი სახელმწიფოა, რომელსაც ხელი არ მოუწერია ჟენევის კონვენციისათვის, რომელიც ერძალავს ომის წარმოების ქიმიურ და ბიოლოგიურ საშუალებათა გამოყენებას. პენტაგონმა გადაწყვიტა მხოლოდ მოსპოს მოძველებული ქიმიური იარაღი, რადგან ახლა შექმნილია უფრო ძლიერი და ეფექტიანი საშუალებანი, რომლებიც ამერიკის სამხედრო მანქანის საიდუმლო ლაბორატორიებშია შემუშავებული.

ბეტონის კონტეინერებში ჩაწყობილი გაზიანი ჭურვები არსენალებიდან გადაიტანეს სანი-პოინტის (ჩრდილოეთ კაროლინის შტატი) ნავსადგურში და დ

ვინ იცნობს მათ?

ეკვე მეათედ გავიდნენ ჩვენი სკოლის სამხედრო-ისტორიული წრის წევრები სალაშქროდ ლიტვაში საბჭოთა არმიის ბრძოლების ადგილების დასათვალიერებლად. აი წელსაც შვიმოიარეს მე-5 და მე-11 გვარდიული არმიების ბრძოლების ადგილები. ჩავიდნენ ქალაქ ტრაკაისში. 1944 წლის იულისში ამ ქალაქისათვის შეტევითის ოპერაციებს ეწეოდნენ 184-ე მსროლელი დივიზიის მეომრები.

არის სამხედრო სასაფლაო, ანთია მარადიული ცეცხლი. ობელისკებზე ოქროს ასოებით წარწერილია. დალუპულთა სახელები. ლიტვის ქალაქ ტრაკაისათვის ბრძოლებში თავი დასდო ქართველი ხალხის ჩვიდმეტმა შვილმა. აი ისინი: სერჟანტი ა. ი. ლეგრომვილი, რეგოლეტი ი. მ. კუბლაშვილი, ა. ი. ხაჩიძე, ი. ვ. ნაზაკაძე, ბ. მ. კვინინხიძე, ბ. ბ. ხარალაშვილი, ა. ი. კალანაძე, მ. ი. შავზუთაშვილი, ა. ზ. ცერცვაძე, ხ. რ. ოტონაძე, ვ. მ. ტეფეტაშვილი, ვასილ ალექსანდრეს-ძე ხუსაძე, კაკაბ ალექსანდრეს-ძე თირქია, დიმიტრი ლუკიანეს-ძე შეკუა, ვლადიმერ სიმონის-ძე ივანიშვილი, სიმონ ალექსანდრეს-ძე ქავთარაძე, გივი მასილის-ძე კარვალიძე.

ვთხოვთ დალუპული შეიმრეების მასლობლებსა და ნაცნობებს მოგვწერონ საიდან არიან ისინი და რას აკეთებდნენ არმიაში გაწვევამდე?

პ. ფლოროვი.

ლიტვის სსრ დამსახურებული მასაწვლებელი.

ქ. ვილნიუსი.

ისინი საბჭოთა სამშობლოსათვის იბრძოდნენ

თბილისური თვითმფრინავებიც უჭევდნენ...

ქარბანინა მძიმე და საშინელი ომი დამთავრდა... ამ საომი თვის წინათ მთელმა საბჭოთა ხალხმა ზეიმით აღნიშნა ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების 25 წლისთავი. მაგრამ მეხსიერებაში არასოდეს არ წაიშლება ის გმირობა და თავდადება, ის მსხვერპლი, რამაც ეს გამარჯვება მოგვიტანა.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის, მათ შორის საქართველოს შვილების დიდძალი ხისლი დაღვარა. გამარჯვების უდიდესი შრომა დასჭირდა...

ამ სტატიაში მინდა მოგითხროთ ერთ-ერთ ორგანიზატორულ მუშაობაზე საქართველოში, იმაზე, თუ რა შრომითი წვლილი მიუძღვის თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივს საბრძოლო თვითმფრინავებით ფრონტის უზრუნველყოფის საქმეში.

ქარხანა 1941 წლის შემოდგომაზე ტაგანროგიდან გადმოვიდა თბილისში ერთ-ერთი მშენებარე ქარხნის ტერიტორიაზე. საწარმოს კორპუსების მშენებლობას მაშინ სათავეში ედგა დამსახურებული ინჟინერი კ. მორეტი.

საშური საქმე გვქონდა: დრო არ გვაცდიდა. მტერი, რომელსაც უპირატესობა ჰქონდა ტექნიკის, კერძოდ ავიაციის მხრივ, დროებითს ვამარჯვებებს აღწევდა, ანგარიშს არ უწევდა დანაკარგებს და თავხედურად მოიწევდა ჩვენი სამშობლოს სიღრმეში.

წარმოების გაშლის პროცესი რთული და ძნელი იყო. რუსპუბლიკისა და ჭალაქის ხელმძღვანელობის დახმარებით ჩვენ სასწრაფოდ ვათავსებდით სასტუმროებში, კლუბებში, სკოლებში აქ ჩამოსულ ათეულ ათასობით მუშასა და მათს ოჯახებს.

რუსპუბლიკაში ყველგოვებდით დამატებითს სამუშაო ძალას, ვასწავლიდით მას საავიაციო საქმეს, ვაგზავნებდით ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, რომლებიც წარმატებით ართმევდნენ თავს ავიაციის რთულ საქმეს.

ქარხნის ზოგიერთი კორპუსის მშენებლობა ჯერ კიდევ მოუთავებელი იყო და მაშინ ვამთავრებდით, სასურველებს ვადგამდით კორპუსებს, საამქროები კი ერთიმეორის მიყოლებით ებმებოდნენ მუშაობაში და ბოლოს აბწყობა საამქრო შეუდგა თვითმფრინავების აწყობას და მათს გადაცემას საფრენოსნო გამოცდისათვის.

ეს სასიხარულო დღეები იყო ჩვენი ადამიანებისათვის — გამოვიდა ქართული საბრძოლო თვითმფრინავები, რომლითა პირველი წარმატება აღვანერდა ჩვენ ქალაქებს მოიოხოვდა თბილი რეჟიმის ზუსტად დაცვას, სათმობი კი არ ვვაოდნენდა. საჭირო ვახდა გამოგიყენებინა ადგილობრივი ადგილობრივი ელექტროენერგია და შრომის რეჟიმის დაცვა. თავდაპირველად წაბო მაინც იყო მომუშაოთათვის. მიუხედავად ძლიერი ენერგიისა, მისი მოლიანად ვაკანონდება არ ხერხდებოდა. ყველაფერს მუშაობის მიმდინარეობაში აწყვეტდით. ლაბორატორიის მუშაკებმა ნიადწრის წაბოს მაინეობის ლიკვიდაციას და ამით ხელი შეუწყეს შრომის პირობების გაუმჯობესებას, რამაც გაადიდა ნაყოფიერება.

ჩვენი თვითმფრინავების საბრძოლო გამოყენების გამოცდილებამ დაგვანახა, რომ საჭირო იყო მათი მოდერნიზაცია. ამ ტიპის ნაკვლად გამნდა ახალი ინსაულა ჩვენი ქარხანამ \უმოკლეს ვადაში აითვისა მისი წარმოება და წარმატებით უშვებდა ამ ტიპის თვითმფრინავს, რომელსაც დიდი უპირატესობა ჰქონდა წინანდელთან შედარებით.

ბოლოს დადგა უბოროტეს მტერზე ჩვენი გამარჯვების დიდი ხნის ნანატრი დღე. „ჩვენს ქუჩაზეც დადგა დღესასწაული". პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს ჩვენს მუშაობას. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 2 იულისის ბრძანებულებით საბრძოლო თვითმფრინავების გამოშვების საქმეში მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის ჩვენი ქარხანა დაჯილდოებულ იქნა წოდელი ვარსკვლავის ორდენით.

ორასამდე მუშა, მოსამსახურე და ინჟინერ-ტექნიკური შუბაკი დაჯილდოებულ იქნა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

მაღალი ჯილდო — ლენინის ორდენი მიიღეს საამქროების უფროსებმა შ. კიკნაძემ, ა. ფერეტენიკოვმა, მესპეინძე მუშამ ფ. დოლაქიძეს, საშენებლო ტრესტის მმართველმა კ. მორეტიმ და ამ სტატიის ავტორმა. 18 ამსანაგი დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით, 172 კაცმა სხვა ჯილდოები მიიღო.

მეოთხედ საუკუნეზე მეტმა დრომ გან

ვერაგ მტერზე გამარჯვების დღიდან.

ბადლიერი კაცობრიობა არ დაივიწყებს ჩვენი ხალხის დამსახურებას დიდ ომში.

ვლადიმერ სალაძე,

გადამდგარი ინჟინერ-პოლკოვნიკი, ქარხნის უოფილი დირექტორი.

ომგადახდილი ეჭვსი ძმა

— ვეკ მოვდივარ, მამა! — უთხრა მოულოდნელად ბორისმა. მამას ხმა არ ამოუღია. თავისი ხელით გამოკორკილ სკამზე იჯდა და ლუჩრ სიგრცეს მისჩერებოდა.

ბეერი ქარტეხილის მომსწრე იყო ვლადიმერი. თებერვლის ჯარისკაცი ახალ ცხოვრებას შეჰხვეოდა. მეუღლე რომ გარდაეცალა. შვიდი ობოლი დარჩა. მაგრამ კოლმეურნეობის აქტიური წევრს ხვავი და ბარაკა არ აკლდა. ქალიშვილი გაათხოვა. ექვსი ვაჟკაცის შემყურეს დაღლა ავიწყებოდა, დღედაღამ საკოლმეურნეო მინდვრებზე ტრიალებდა.

...და ატყდა ომი.

თანდათან დაცარიელდა ვლადიმერის ოჯახი:

ლეონიდე ჯერ ფინელებს ებრძოდა, მერე გერმანელთა...

ბორისი მტერს კიევში დაუხვდა...

შალვა ირაწში იმყოფებოდა...

ვიქტორი იტალიის პარტიზანულ რაზმში...

კვიროსი ფაშისტებს მოსკოვის მისადგომებიდან მიერეკებოდა.

ექვსიდან ხუთი შვილი საშობლოს დასაცავად გაისტუმრა. შინ ყველაზე უმცროსი ბორისი დარჩა. იგი მაშინ შვიდე კლასში სწავლობდა. ჯარისკაცების მამა იმედს მასზე იმყარებდა, რომ მოეკვლე, დამმარხავსო.

— სადაც ჩემი ძმები არიან, მეც იქ უნდა ვიყო, — ვლადიმერი ფიქრებიდან ბორისის ხმამ გამოაღვიძა, — რა დროს შინ ჯდომაა!

მამამ უმწეოდ გაასავსავა ხელები.

— ხომ იცი, რომ ომში ბაშპას არ ისვრიან.

ბორისმა ჯალიმა, ამდენი რა-გორ არ ვიცი.

— პოდა, ყველა ვერ დაბრუნდება,—ბოხუცს ხმა ოუკანკალდა.

— შეიძლება...

— მე მარტო რომ მტოვებთ, — ვლადიმერი ფიქზე წამოდგა, — არ გეკოდებით?

— მესმის, მამა, მაგრამ სამშობლო...

— შენ ერთი მაინც დარჩი, შვილო, მე ხუთი დამცველი გაბიზრდია და...

— მეექვსე ლაჩარი? — ბენთო ბორისი, — არ გაგიგონია, მამა-ჩემო, ლაჩარის ბორცსა ძერა არ ჭამდა, წუნობდა სანადირდოდა.

— შენც კარგი ვაჟკაცი გამიზრდიხარ, შვილო, — მამას გაეღიმა, — დამილოცნიხარ...

მთელმა სოფელმა გზა დაულოცა ომში მიმავალ მეექვსე ძმას.

□

სურათზე: ბედნიერი მამა ვ. ბერიშვილი შვილებთან ერთად. პირველ რიგში შალვა, აპოლონი, (დგანან) ბორისი, ვიქტორი, ლეონიდე და კვიროსი.

მამა შინ მარტო დარჩა. ძველებურად ტრიალებდა, თესავდა, მოსავალს ილებდა, ფრონტზე ამინათებს გზავნიდა. გვიან ღამით საკოლმეურნეო მინდვრებიდან დაღლილ-დაქანცული ბრუნდებოდა და, ძილი რომ მოეკარებოდა, თვალწინ შვილები დაუდგებოდა, გამოელვიძებოდა და ძილი უტყდებოდა.

გზას გასცქეროდა.

ფოსტალიონს მოჰქონდა სამკუთხა ბარათები, კარგად კართო, იწერებოდნენ შვილები.

ბორისის წერილიც მოვიდა. იგი 414-ე ქართულ დივიზიაში დარბოდა.

დღე ისე იშვიათად გაიკლიდა, კვიელს სოფლისათვის რომ არ ეცნო ვაჟკაცის დალუპვა. ბეერმა, ძალიან ბეერმა ჩაიცვა შავი...

— ჩემი შვილები... როგორ არიან ჩემი ვაჟკაცები? — ვლადიმერს ყოველდღიურად ჯაილი ემატებოდა. — ხმირი შემოხვეული ყოფილა, შვიდი. რვა ძმა წასულა ომში და შობლიურ ერას ერთიც არ დაბრუნებია. იქნებ... იქნებ მე არ აღმოვნდეე ისეთი უბედური...

გადიოდა თვეები, წლები...

დამთავრდა ომი.

ერთ საღამოს აპოლონი დაბრუნდა...

შემდეგ შალვა...

მოვიდა ლეონიდე...

ვიქტორმა შემოიარა სახლის კარი...

კვიროსი თავზე წამოადგა ყანას რომ თოხნიდა...

ბორისი მამასა და ძმებს გადაეგება...

1947 წელს ისევ შეიკრა დაცარიელებული ოჯახი.

ომგადახდილი ბიჭვეების მკერდზე ორდენები და მედლები კიაფობდნენ...

ბოხარა ბედნიერმა მამამ, ახლა მისი ეძებნილი შვილი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში შრომის ფრონტზე წარმატებით იბრძვის.

80 წლის ვლადიმერ ბერიშვილი ახლაც ისევ გასცქერის გზას, ფოსტალიონის კამოჩენას ელის. ახლა სამშობლოს სადარაჯოზე მისი შვილიშვილები დგანან.

ვალერი ზურაშვილი,

აკაკი ჯიჭია.

ჩოხატაურის რაიონი, სოფ. შუახურები.

ახლოა სასწავლო წელი, როგორ ემზადებით?

ზრუნვა და ფედეგი

ჩვენს ხელთ არის გაზეთ „ოქმუნისტის" 1962 წლის 11 აგვისტოს ნომერი. წერილში „დაფანტული კლასები" — ეკითხულობთ: — „პირველ საშუალო სკოლაში 848 მოსწავლე ირიცხება. სკოლა ორ ცვლად მუშაობს. მისი შენობები დაფანტულია. ოთხი კლასი. მოთავსებულია ჭორჯაძის ქუჩაზე, ხოლო სამი კლასი კოლხიდის ქუჩაზე მედიცინის დების სკოლის შენობაში. მასწავლებლებს შესვენების წუთებში უხდებათ შენობიდან შენობაში, ქუჩიდან ქუჩაში სიარული. ასეთივე მდგომარეობაა მესამე საშუალო, პირველ და მეორე რვაწლიან სკოლებში".

მას შემდეგ მერვედ იწყება ახალი სასწავლო წელი. ფოთში სახალოო შენობებისა და საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობის დარგში ბევრი რამ გაკეთდა როგორც განათლების სამინისტროს ბიუჯეტის ხარჯებით, ისე ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებითაც. სკოლებისათვის ზრუნვამ, შეფი ორგანიზაციების ყოველდღიურმა დახმარებამ ქალაქს ათობით ახალი ტიპური სასკოლო და საბავშვო ბაღების შენობები შემატა.

დავთვალიერეთ კოლხიდის ქალაქში ნაკაობარზე აშენებული სამი სამხართულიანი ტიპური სკოლა, ერთი სკოლა-ინტერნატი, ბაგა-ბაღი 140 ბავშვისათვის, რომელიც 4-5 წლის წინათ აშენდა. ამ წლებში გარდა ახალი სკოლების აშენებისა პირველ, მესამე და მეხუთე საშუალო სკოლებს მიუშენდა საკლასო ოთახები ათასი მოსწავლის ადგილით. შარშან ექსპლოატაციაში შეიდა მეთერთმეტე საშუალო სკოლის სამსართულიანი შენობა, რკინიგზის საშუალო სკოლა და № 2 ბაგა-ბაღი 150 ბავშვისათვის.

ტრადიციისამებრ 1969-1970 სასწავლო წლის დამთავრებისთანავე დაიწყო მზადება ახალი სასწავლო წლისათვის. დიდი მუშაობაა გაჩაღებული სკკპ XXIV ყრილობის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის 50 წლის იუბილეს შესახედრად ხალხური ფასეულობანი შეჯიბრებით ნაკეთო ვალდებულებათა შესრულებისათვის.

მეცხრე საშუალო სკოლის სამხართულიან შენობას მიუშენდება 501 ბავშვისათვის 15 საკლასო ოთახი. მშენებლობა 116 ათასი მანეთი დაჯდება. მას აწარმოებს ფოთის № 1 სამშენებლო სამმართველო (უფროსი ო. გუნია). მშენებლებმა მიმდინარე წლის 7 თვის ბეგმა გადაჭარბებით შეასრულეს.

დათვალიერების დღეს მიმდინარეობდა შელესვა, იატაკის დაგება, ღებვა. კარგად მუშაობდნენ მებათქაშეთა, ფერგალთა, დამბმარე მუშათა და მღებავთა ბრიგადები. მოიჯარადრე ორგანიზაციებიდან კარგად იმუშავა საქელეტრომონტაჟის ქუთაისის სამმართველოს ფოთის უბანმა (უფროსი ბ. ბიბარია).

მშენებლებს განზრახული აქვთ ეს შენობა საექსპლოატაციოდ 20 აგვისტოსათვის ჩაადაროონ.

ქალაქის პირველი საშუალო სკოლა (დირექტორი ნ. ქოთიავა) აწყობს ქიმიის კაბინეტს (ქიმიის მასწავლებელი თ. ბოკუა) უახლესი ტექნიკის მიხედვით. ამ საქმეში მათ ეხმარება საშეფო წარმოება — გემთშემკეთებელი ქარხანა (დირექტორი რ. გაბისონია). კაბინეტის მოწყობაზე 18.822 მანეთი დაიხარჯება. ქალაქის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების კაპიტალური რემონტისათვის გამოყოფილი 99 ათასი მანეთის ნაშუშაოებს ასრულებს ფოთის სარემონტო-სამშენებლო კანტორა (უფროსი გ. რომანაშვილი).

ქალაქის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების დახმარებით ყველაფერი კეთდება, რომ სკოლებისა და საბავშვო ბაგა-ბაღებმ კაპიტალური რემონტი დროულად იქნას დამთავრებული.

განსაკუთრებით ზრუნავენ ბავშვებისათვის ქალაქის მეორე ხაშუალო სკოლის დირექცია (დირექტორი ხაქართველოს ხსრ დამსახურებული მასწავლებელი ვ. ნაცვლიშვილი) და შრომელთა კომიტეტი. ეს ერთ-ერთი ყველაზე კარგი ტრადიციების სკოლაა ფოთში. აქ 1.054 ბავშვი სწავლობს. პირველ კლასში წელს 99 ბავშვი ისწავლის. გათვალისწინებულია ორი გაბანგრძლივებული ჯგუფი 62 მოსწავლით.

სკოლის მიმდინარე რემონტი დროულად დაიწყო და ადრე დამთავრდა. შეკეთდა მერხები, მაგიდები, დაფები, კაბინეტ-ლაბორატორიები შეივსო ხელსაწყო-იარაღებით, სკოლის ეზოში მოეწყო სპორტმოედანი ფეხბურთისათვის, ფრენბურთისა და კალათბურთისათვის. საქმეო დარბაზში კინოგაკვეთილებისათვის მოეწყო კინოჯიხური, შეკეთდა კინოაპარატი, გამდიდრდა სადურგლო, საზეინლო და სახარატო ხელოსნოები.

კარგად მოემზადნენ ახალი სასწავლო წლისათვის მიდრომელეობრაციული ტექნიკუმი (დირექტორი ნ. ქორიძე), სამედიცინო სასწავლებელი (დირექტორი ნ. ბუბუა), მუსიკალური სკოლა (დირექტორი საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. ხავთასი) და ქალაქის სხვა საშუალო სკოლები.

მალე სკოლის ზარი დაირეკება, ხელჩანთიანი გოგონები და ბიჭუნები, მოსწავლე ახალგაზრდები ნათელ საკლასო ოთახებში მიუსხდებიან მერხებს. რაოდენ მადლიერი იქნებიან ახლი მშენებლებისა და შეფი ორგანიზაციებისა, რომლებმაც ასე ენერგიულად, მოუღლელად იმუშავეს და ყველაფერი გაკეთეს იმისათვის, რომ მოსწავლეთა და მასწავლებელთა გული გაუხარებინათ.

ბ. ნოდია.

„კომუნისტის" საკ. კორ.

ვანო ილიას-ძე მურადელი

მძიმემ, აუნახლაურებელი დანაკლისი განიცადა საბჭოთა მუსიკალურმა ხელოვნებამ. 62 წლის ასაკში უეცრად გარდაიცვალა ერთ-ერთი გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორი, თვალსაჩინო მუსიკალური და საზოგადო მოღვაწე ვანო ილიას-ძე მურადელი.

ვ. ი. მურადელის ცხოვრებისა და შემოქმედების გზა სოციალისტური მუსიკალური კულტურის განვითარების საქმისადმი თავდადებული პატრიოტული სამსახურის ბკაფიო მაგალითია. კომენსატი კომპოზიტორი, ლენინური კომკავშირის აღზრდილი, სკკპ წევრი 1942 წლიდან, ვ. ი. მურადელი თავის შემოქმედებაში მუდამ მიმართავდა თანამედროვეობის ყველაზე აქტუალურ და მნიშვნელოვან თემებს.

ვ. ი. მურადელი დაიბადა 1908 წლის 6 აპრილს ქალაქ გორში და მუსიკალური განათლება თბილისისა და მოსკოვის კონსერვატორიებში მიიღო. მან მიაშინვე მიიპყრო მუსიკალური საზოგადოებრიობისა და მსმენელთა ფართო წრეების ყურადღება ს. მ. კიროვის ხსოვნისადმი მიძღვნილი პირველი სიმფონიით. დიდი სამამულო ომის წლებში ვ. ი. მურადელი სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური ანსამბლის უფროსი და სამხატვრო ხელმძღვანელი. იგი ხშირად ყოფილა მოწვეული პოზიციებზე, გამოდიოდა მებრძოლთა წინაშე. ფაშიზმზე საბჭოთა ხალხის გამარჯვებას მიუძღვნა კომპოზიტორმა თავისი მეორე სიმფონია.

ვ. ი. მურადელის შემოქმედება მოიცავს სულ სხვადასხვა ჟანრებს. მან დაწერა სიმფონიური პოემები და უვერტიურები, ოპერა „დიდი მეგობრობა", ბევრი რომანსი, მთელი რიგი ნაწარმოებები სასულე და ხალხური ორკესტრებისათვის. საბჭოთა მუსიკა გამდიდრა მისმა ოპერამ „ოქტომბერმა" — მასშტაბურმა, დიდი მხატვრული მნიშვნელობის ნაწარმოებმა, რომელიც წარმოსახავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ამბავს და რომელშიც აღბეჭდილია ვ. ი. ლენინის სახე.

მაყურებელთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს ვ. ი. მურადელის ოპერეტები თანამედროვე თემებზე: „ცისფერთვალა გოგონა" და „მოსკოვი-პარიზი-მოსკოვი". ბევრი ძალ-ღონე და შრომა მოანდომა კომპოზიტორმა მასობრივი სიმღერის შექმნას. ათობით მისმა სიმღერამ გაიკვალა გზა მილიონობით მსმენელის გულში დედამიწის ყველა კონტინენტზე. მისი საუკეთესო სიმღერები გამჭვალულია დიდი მოქალაქეობრივი გრძნობით. ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის ბრძოლას მიუძღვნა სიმღერები „ბუხენვალდის ნაბათი", „მსოფლიოს ახალგაზრდობის მარში", სიმღერების ციკლი „ჩვენი ძალა ერთობაა", რომელებიც საბჭოთა მუსიკალური შემოქმედების ოქრის ფონდში შევიდნენ. მთელი რიგი მნიშვნელოვანი სიმღერები დაწერა კომპოზიტორმა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის.

ვ. ი. მურადელის შემოქმედება სოციალისტური რეალიზმის მეთოდის ნაყოფიერების, ხელოვნების პარტიულობის და ხალხურობის პრინციპების ურყევობის ბრწყინვალე მაგალითია. მისი მუსიკა ღრმად დემოკრატიულია და ყოველთვის მასობრივი მსმენელისათვის არის განკუთვნილი.

ვ. ი. მურადელს საბჭოთა ხელოვნების მაღალ მოვალეობად მიაჩნდა არა მარტო მუსიკალურ ნაწარმოებთან შექმნა, არამედ აქტიური, მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობაც. იგი იყო სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ კომპოზიტორთა კავშირების გამგეობათა მდივანი, უკანასკნელი თორმეტი წლის მანძილზე უცვლელად მეთაურობდა ჩვენი ქვეყნის უდიდეს მოსკოვის კომპოზიტორთა ორგანიზაციას. ვ. ი. მურადელი იყო სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის წევრი, მოსკოვის საბჭოს დეპუტატი, რუსეთის სფსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიის წევრი, აქტიურად მონაწილეობდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებათა კავშირის მუშაობაში.

ვანო ილიას-ძე მურადელი ხშირად გამოდიოდა საწარმოთა მუშების, კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელთა წინაშე, დიდ მუშაობას ეწეოდა მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნების მუშებთან ხელოვნების მოღვაწეთა ურთიერთობის განმტკიცებისათვის.

ნიჭიერი საბჭოთა კომპოზიტორის შემოქმედებითი და საზოგადო მოღვაწეობა აღინიშნა მაღალი ჯილდოებით. ვ. ი. მურადელს მინიჭებული ჰქონდა სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება, დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, ბევრი მედლით, ორჯერ მიენიჭა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია.

ვ. ი. მურადელი წავიდა ჩვენგან შემოქმედებითი ძალებით აღსავსე. სიკვდილი მოულოდნელად დაატყდა თავს ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში მოგზაურობის დროს, ხალხმ შემოქმედებითი ანგარიშებით უნდა წარმდგარიყო მშრომელთა წინაშე.

გამოჩენილი საბჭოთა ხელოვანის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მუსიკოსებისა და მსმენელთა ფართო წრეების გულში. მისი საუკეთესო ნაწარმოებები დარჩება ხალხს, კულაგად დამკვიდრდებს კომუნიზმის იდეებს, გაიტაცებს ხალხს თავისი ეხოველმყოფელობითა და პოეტური სილამაზით. ვანო მურადელმა მთელი თავისი მძლავრი ნიჭი მთლიანად კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიადი საქმის გამარჯვებას.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტრო, სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტი, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველო, კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტი, რუსეთის სფსრ კულტურის სამინისტრო, რუსეთის სფსრ კომპოზიტორთა კავშირი, რუსეთის სფსრ კომპოზიტორთა კავშირის მოსკოვის ორგანიზაცია, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირი.

ტექნიკური პროგრესის გზაზე

ავტომატიზაცია — წარმატების საწინდარი

ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის მრავალათასიანი კოლექტივი ახლა ერთი ფიქრით, ერთი მისწრაფებით მუშაობს: გარეაზორციელოს ამოცანები, რომლებიც დასახული ეს ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის წერილში „სახალხო მეურნეობაში წარმოების რეზერვების გამოყენების გაუმჯობესებისა და მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების შესახებ".

საგულისხმოა, რომ შარშან 1968 წელთან შედარებით გამოშვებული პროდუქციის მოცულობა 19,7 პროცენტით გაიზარდა, ხოლო რენტაბელობისა—16,7 პროცენტით. ხუთწლედის გადამწყვეტი წლის პირველ კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 40,5 პროცენტით ამაღლდა.

შრომის ნაყოფიერების ზრდა ძირითადად იმან განაპირობა, რომ მწყობრში ჩადგა კომბინატის სამგამოყვანო ფაბრიკის მეორე რიგი. ეს ფაბრიკა, სადაც მზა ქსოვილები მზადდება, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით არის აღჭურვილი, საწარმოო პროცესები მთლიანად ავტომატიზებული და მექანიზებულია, ხოლო ხელით შრომა თითქმის გამორიცხულია.

ახალი ტექნიკის დანერგვა, ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებულ სრულყოფა, მექანიზაცია და ავტომატიზაცია, შემოქმედებითი ძიება, ნოვატორული აზრის ფართო გაქანება, აი ტექნიკური პროგრესის მძლავრი ფრთები, რამაც ესოდენ კარგი მაჩვენებლები მოუტანა ჩვენს კოლექტივს.

ჭეშმარიტად დიდი მუშაობა ხორციელდება წარმოების ხელახალი ტექნიკური აღჭურვისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვისათვის. ხუთწლედის განვლილი ოთხი წლის მანძილზე ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი დაზგების ნაცვლად კომბინატის საქსოვ წარმოებაში დაიდგა 700 მაღალი წარმადობის ახალი ავტომატური საქსოვი დაზგა. ამასთან მოდერნიზებულ იქნა 200-ზე მეტი საქსოვი სამასარე, საქსელე და სახვევი დაზგა.

მთლიანად განვახორციელეთ ახალი ტექნიკის დანერგვის ის ღონისძიებანი, რომლებიც გასული წლის გეგმით იყო გათვალისწინებული. შარშან, მაგალითად, დაიდგა 150 ავტომატური საქსოვი დაზგა, 5 სამასარე ავტომატი, ოგრეთვე პარტიონული საქსელე და საორფეველი მანქანები.

ახალი, მაღალი წარმადობის ტექნიკის დიდ სიკეთეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ არსებულ საწარმოო ფართობებზე საქსოვი დაზგების რიცხვი წინა წლებთან შედარებით შემცირდა, მაგრამ შრომისა და დაზგა-საათის ნაყოფიერება ერთნაირად გაიზარდა.

კომბინატის კოლექტივი წარმოების ყველა უბანზე მტკიცედ და გაბედულად აორგანიზებს პროგრესულ ტექნოლოგიასა და ტექნიკურ საიმედოებას, რომელთაგან ბევრმა საქვეყნო აღიარება ჰპოვა.

ქუთაისელმა ფეიერებმა ჩვენს ქვეყანაში პირველებმა ითვისეს ახალი ტიპის ავტომატური საქსოვ დაზგებზე ნატურალური აბრეშუმის ქსოვილების გამოშვება.

ნარო-ფომინსკის აბრეშუმის კომბინატის შემდეგ საბჭოთა კავშირში მეორემ, ხოლო რესპუბლიკაში პირველმა, ჩვენმა კომბინატმა ითვისა და ახლა ყველა სახის ხელოვნურ აბრეშუმზე დანერგა პარტიონული წესით ქსელვა-გახამების პროგრესული მეთოდი, რითაც ქსელვაზე, გახამებაზე, მინასკვისა და დგეზ-საკვანძეწესით დამზადებული ქსოვილებისაგან კიდევაც მივიღეთ მაღალხარისხოვანი ქსოვილების პირველი პარტია. წლის ბოლომდე 400 ათასამდე მეტრი იქნება გამოშვებული.

კომბინატის ფეიერებმა ჩვენს ქვეყანაში პირველად წარმოებაში დანერგეს ნატურალური აბრეშუმის კრეპის ცივად გახამების მეთოდი. შარტო შარშან ამ პროგრესული მეთოდის გამოყენებით ჩვენ 2.363 კილოგრამი ძვირფასი ნედლეული დავზოგეთ, ხოლო წლიურმა პირობითმა ეკონომიამ 29.989 მანეთი შეადგინა.

შარშან განვახორციელეთ საქსოვი წარმოების სახამებელი გაფყოფილების მთლიანი მექანიზაცია. ახლა სახამებელ მანქანებზე ქსელების ჩადგმა, მისი მოხსნა და საქსოვ საამქროებში ტრანსპორტირება მექანიზებულად ხდება.

საქსოვი წარმოების უფროსის გ. ვასაძის, მოსამზადებელი საამქროს უფროსის ლ. კეკენაძის, სალბობ-სახამებელი გაფყოფილების უფროსის დ. ძაგნიის, ლაბორატორიის გამგის ვ. ლაბაძისა და ამ სტრიქონების ავტორის ერთობლივი ძალისხმევით შარშან საქსოვ წარმოებაში ხმაბ აბრეშუმის ძაფის დალბობის არსებული მეთოდი შეიცვალა დასხურვის მეთოდით, რამაც კომბინატს წლიურად 11.670 მანეთი ეკონომია მისცა.

კომბინატის დირექტორის ო. ბალანჩიკაძის, ძაფსალები წარმოების უფროსის მ. ბიხიძის, საამქროს სპეციალური კონვეიერი, რითაც მძიმე სამუშაოსაგან განთავისუფლდა ბევრი მუშა, ამაღლდა შრომის ნაყოფიერება. ამ სიახლემ კომბინატს წლიურად 4.701 მანეთი დაუზოგა.

კომბინატის დირექცია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ კადრების მომზადებას, მათი ტექნიკური კვალიფიკაციის განუხრელად ამაღლებას. მარტო შარშან საწარმოო-ტექნიკური სწავლება გაიარა და კვალიფიკაცია აიმაღლა 1.039 ფეიერმა. ნაყოფიერად მუშაობს ახალგაზრდა სპეციალისტთა საბჭო, რომელსაც კომბინატის ცალკეული საწარმოების მიხედვით დასახული აქვს ტექნიკური პროგრესის პერსპექტიული გეგმები და რომელიც ადგილზე ასრულებული მდგომარეობის ანალიზის შემდეგ მოფიქრებულ ღონისძიებებს ახორციელებს ტექნოლოგიური რეჟიმების სრულყოფისათვის.

უკვე სამი წელია, რაც კომბინატში ბეჯითად მეცადინეობს ტექნიკური პროგრესის სახალხო უნივერსიტეტი, რომელშიც გაერთიანებული არიან საწარმოთა, საამქროთა და განყოფილებათა უფროსები. რა თქმა უნდა, მიუხედავად ამისა, ტექნიკური პროგრესის გზაზე ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო მოგველის. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ღღემდე გაწეული მუშაობა საკმარისი არ არის. ასევე ბევრი საზრუნავი გვაქვს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დარგში.

ხუთწლედის გადამწყვეტ წელს შედგენილი გვაქვს პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის სრულყოფის, შრომის ნაყოფიერების მკვეთრად ამაღლების ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები. წელს კომბინატში დაიდგმება 150 ავტომატური დაზგა და 50-მდე სრულიად ახალი ტიპის, უხმაურო ბნევმატური საქსოვი დაზგა, სრული სიმძლავრით ამუშავდება საგამმყვანო ფაბრიკა.

საგულისხმოა, რომ წელს შარშანდელთან შედარებით კომბინატმა 7 მილიონი მანეთით უნდა გაზარდოს გამოშვებული და რეალიზებული პროდუქციის მოცულობა.

ჩვენ გვეცანით თბილისელი მემაუდეების პატრ

საქართველოს ფოთა-ბარეში

ფოთის მარკით — უცხოეთში

ფოთი. (საკ. კორ.). ქალაქ ფოთში, შავი ზღვის პირას ბითობით ჰექტარ ფართობზე განლაგებულია რესპუბლიკის ერთ-ერთი დიდი საწარმოს — ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელი ქარხნის კორპუსები. აქ, 1962 წლიდან შეუდგინენ წყალქვეშაფრთიანი 116-ადგილიანი სამგზავრო თბომავლების — „კომეტების“ მშენებლობას.

ფოთის მარკით ბითობით „კომეტა“ ღღემდე გაიგზავნა და მომდინარე წლის დამლევამდე გაიგზავნება ამერიკაში, იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მაროკომი, იუგოსლავიაში, ბულგარეთსა და პოლონეთში.

ჰიდრომექანიზაციის მანქანათა-მშენებლო ქარხნის მიერ დამზადებული მიწისმწოვი მანქანები მუშაობენ არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, იუგოსლავიაში, მალიში, გვინეაში, შვეიცარიაში, რუმინეთში, პოლონეთში, ავღანეთსა და სხვა ქვეყნებში.

ამოწყვლის ნახელავს — ღირსება

საჩხერე. (საკ. კორ.). სანიმუშოდ სწავლობს სოფელ ხიხვაძეების რვაწლიანი სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლე ნათელა ხიხვაძე. თავისუფალ დროს კი ხატავს, ქარგავს, ქსოვს.

ნათელამ მოქსოვა ფარდაგი, რომელიც გაიგზავნა გამოფენაზე ჯერ თბილისში, ხოლო შემდეგ — მოსკოვში.

ამას წინათ ნათელამ თბილისიდან დეპეშა მიიღო. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ეხოეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის სახვითი ხელოვნების განყოფილება ატყობინებდა:

„თქვენი ნახელავი ფარდაგი გაგზავნილი იყო მოსკოვში ბავშვთა ნახატების საერთაშორისო გამოფენაზე — „მე ვხედავ სამყაროს“ და დაჯილდოებულია დიპლომით“.

ბავშვთა ბიბლიოთეკა „თეთრი მღვიმე“

ყოფილხართ ხომალ ში? ბაღ-ვენახებითა და ჩაის ბავერდებით მოქარგულ ამ პატარა სოფელში?.. აქ ბუნების ცნობილმა მკვლევარმა პეტრე ჭაბუკიანმა ქვის ხანის ადამიანის უძველესი სადგომი აღმოაჩინა... ამას წინათ კი ხომალში ჩვენი ზღაპრული ბუნების კიდევ ერთი ახალი წიგნი გადაიშალა — გაიხსნა უნიკალური კარსტული გამოქვაბული „თეთრი მღვიმე“.

თეთრი სტალაქტიტებითა და სტალაგმიტებით მოჩუქურთმებული „თეთრი მღვიმე“ არაფრით არ ჩამოუვარდება და თამამად უდგას გვერდში სათაფლიის საქვეყნოდ ცნობილ კარსტულ გამოქვაბულებს. ამასთან იგი წყალტუბოს სულ ნახევარი კილომეტრით არის დაშორებული.

სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის დირექციამ (დირექტორი მ. ეიკობაშვილი) უკვე დამთავრა „თეთრი მღვიმის“ კეთილმოწყობა — გაკეთდა ჩასასვლელი კიბე, შიდა სავალი და გასასვლელი ბილიკები, მოეწყო ელექტროგანათება, სასაუბრო დარბაზი. (საკ. კორ.).

...ბარეში

ლარსა თუ ავდარში არ წყდება ამ ლამაზი მანქანების გუგუნი. ჩაის პლანტაციებში ტრადიციული გახდა ახალი ბედი — ხომალდებით მიცურავს ხუპუტა მწკრივებში „ხაქაროეველო“, და განა ერთი და ორი... ეს სურათი ჩვენმა კორესპონდენტმა ბ. ბოგრ ხიბმ მაშინ გადაიღო, როცა გალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის უზარ მოსავლის ოსტატები მორიგ შეტევაზე გავიდნენ.

...ბარეში

...ბარეში

...ბარეში